ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 99

"6" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

N 01.19.25.001.087, N01.19.25.001.295, N01.19.25.001.155, N01.19.25.001.269, N01.19.25.001.296 საკადასტრო ერთეულების პირდაპირი განკარგვის წესით, სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" პუნქტისა და 122-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 მარტის №11.27.288 განკარგულებით უძრავი ქონების:

ა) ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ 5000 კვმ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.25.001.087.);

ბ) ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი, ალექსეევკის 3-ში მდებარე 4000 კვმ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.19.25.001.295.);

გ) ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი, 37-ე კილომეტრზე მდებარე 4278 კვმ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.19.25.001.155.);

დ) ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი, 37-ე კილომეტრზე მდებარე 1466 კვმ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.19.25.001.269.);

ე) ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი, ალექსეევკა №3-ში მდებარე 53106 კვმ. მიწის ნაკვეთი: 01.19.25.001.296.) - პირდაპირი განკარგვის წესით სსიპ - ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი